

გიორგი კვირიკაშივიძე თედავი ბატონის მუზეუმი გახსნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშივიძემ თედავი ბატონის მუზეუმი გახსნა, რომლის მშენებლობაც რეგიონური განვითარების პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

„დღეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულო დღეა! ვახეთს, კონკრეტულად ვი თედავს, შეემატა ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი და კულტურული სივრცე – მეფეთა სასახლის შემდეგ უკვე ბატონის ციხის მუზეუმი, რომელიც კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. მე მესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით თედაველებისთვის ერთგვარ მეორის სახელი, მისდამი პატივის მიგება და პირველ რიგში, თედავეებს გილოცავთ ამ ძალიან მნიშვნელოვან დღეს. ვურთხავ, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს! თედავის ბატონის ციხე უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ის საშუალებას აძლევს მომავალ თაობებს მიეახლონ ისტორიას, ხელით შეეხონ მას, სათანადო პატივი მიაგონ ჩვენს უდიდეს წინაპრებს. ძალიან მიხარია, რომ დღეს უკვე ამ კომპლექსს შეემატა მუზეუმი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიითაა მოწყობილი და 65 000 ექსპონატია დაცული მის სივრცეში. მინდა, მადრობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში დაჰკანკარებდნენ თითოეულ ექსპონატს და დღევანდელ დღეს, უკვე მომავალ თაობას შემოუნახეს ეს ყველაფერი. ძალიან დიდი, რთული პერიოდის განმავლობაში დაიცვეს ექსპონატები და მართლაც, გმირური საქციელი ჩაიდინეს,“ - განაცხადა გიორგი კვირიკაშივიძემ.

პრემიერ-მინისტრმა მაღლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკს, როგორც ქვეყნის განვითარების მთავარ პარტნიორს, საქართველოში არაერთი კურტურული-მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენის ხელშეწყობისთვის და აღნიშნა, რომ ახალი მუზეუმი ტურისტების ერთ-ერთ მთავარ მიზიდულობის ცენტრად იქცევა.

„როგორც მითხრეს, რამდენიმე ათეული ათასი, მაქსიმუმ სამოცდაათი-ოთხმოცი ათასი ტურისტი ჩამოვა ამ ახალ მუზეუმში, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს რიცხვი იქნება ასეულობით ათასი, გამომდინარე იმ სიმდიდრიდან, რაც ამ მუზეუმში და მეფეთა სასახლეშია დაცული და ასევე, გამომდინარე თერავის სტუმართმოყვარეობიდან, იმ უამრავი, უმდიდრესი კურტურული-მემკვიდრეობითი ძეგრიდან რომელიც აქ არის, იმ ახალი ინფრასტრუქტურიდან, რომელიც შეიქმნა ამ ძეგლების მიმდებარედ. მე მინდა, მსოფლიო ბანკს მაღლობა გადავუხადო დართლოს კომპლექსისთვის, გარეჯის კომპლექსისთვის, ადავერდის მიმდებარე ინფრასტრუქტურის გადამაზებისთვის. სურს ორიოდე დღის წინ გვექონდა შეხვედრა მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორებთან, რომლებიც საქართველოში ბრძანდებოდნენ და მათ აღნიშნეს ის უმნიშვნელოვანესი პროგრესი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია. კიდევ ერთხელ დიდი მაღლობა მსოფლიო ბანკს, როგორც საქართველოს განვითარების მთავარ პარტნიორს,“- აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ბატონის სასახლის კომპლექსში მუზეუმის გახსნით, ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი ერეკლე მეფის ხსოვნას, რომლის სახელსაც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი უკავშირდება.

„დღევანდელი დღე, ყველაზე მეტად ადრბათ არის ერეკლე მეფისთვის პატივის მიგების კიდევ ერთი დღე. იგი გახლდათ მეფე, რომლის მთელი ცხოვრებაც იყო არჩევანი – 15 წლის ასაკიდან მოყოლებული, როდესაც მან გაუძღო უდიდეს გენოერას ნადირ შაჰის მხრიდან და მიუხედავად ამ გენოერისა, მეფე თეიმურაზის შემდეგ იყო მეორე მეფე, ბევრი თაობის მეფეების შემდეგ, რომელიც ქრისტიან, მირონცხებულ მეფედ მოევიდინა საქართველოს. იგი იყო უდიდესი მეფე, რომლის სახელსაც უკავშირდება თუ ყველაზე რთული არა, ადრბათ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული არჩევანის

გაკეთება. იგი იყო მეფე, რომელიმაც გააკეთა ურთუდესი არჩევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ, რომელიმაც ყველაზე კარგად უწყობდა, რომ საქართველოს, ქართველი კაცის სურვიერი ბუნების დედა ბოძი იყო ქრისტიანობა და როგორც კი ეს დედა ბოძი დაინგრეოდა, საქართველოს იდენტობა გაქრებოდა დედამიწის ბურგიდან. სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ პატივს მივაგებთ ამ უდიდეს მეფეს და ჩვენთვის ათმაგად სასიხარულოა ამ ახალი, უდამაზესი მუზეუმის გახსნა, აქ, ბატონის სასახლეში,“- განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პროექტის ფარგლებში, აგრეთვე კეთილმოეწყო ტერიტორია, როგორც მუზეუმის, ასევე ბატონის სასახლის მხარეს.

მუზეუმში გაკეთდა მთავარი საგამოფენო დარბაზი, რომლის სივრცეშიც გამოფენილია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, საბრძოლო აღჭურვილობის ნიმუშები, ხეღნაწერები და რარიტეტური გამოცემები. ასევე, მოეწყო დროებითი საგამოფენო სივრცე და გადგრა, რომელიც მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნის ფერწერული ნამუშევრები.

სამუზეუმო ექსპონატები დღეს პრემიერ-მინისტრმა რეგიონური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან, კურტურისა და სპორტის მინისტრ მიხეილ გიორგაძესთან, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელ სარა მაიკლთან, მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორ გაგი ბუაძესთან და კახეთის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან ერთად დაათვალიერა.

ერეკლე მეფის სასახლისა და ბატონის მუზეუმის პროექტის საერთო ღირებულება 14 მილიონ დარამდეა.